ეკონომიკური ურთიერთობა კონფლიქტურ რეგიონებთან

ნათია ლეფსვერიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: არჩილ აბაშიძე, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის ძირითად თემას წარმოადგენს ეკონომიკური ურთიერთობა კონფლიქტურ რეგიონებთან.ნაშრომი დაყოფილია ხუთ თემატურ ნაწილად. უპირველეს ყოვლისა ესაა შესავალი ნაწილი, სადაც განხილულია თემის აქტუალობის საკითხი და მიზანი,რომელსაც იგი ემსახურება.

მეორე ნაწილი ეთმობა კონფლიქტის წარმოშობის ძირითად მიზეზებს და შედეგებს,რომელიც დადგა ამ მდგომარეობით. ნაშრომის ამ ნაწილში იქნება წარმოდგენილი არასრული სია იმ უშედეგო ქმედებებისა,რომელიც განახორციელა ქართულმა მხარემ მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. ყურადღება გამახვილდება ერგნეთის ბაზრობაზე, როგორც კონფლიქტურ რეგიონებთან ურთიერთობის წარმატებულ მაგალითზე.

მომდევნო ნაწილში განიხილება დღეის მდგომარეობით რამდენად მზად არიან მხარეები ითანამშრომლონ და განაახლონ ეკონომიკური ურთიერთობა. საკითხთან მიმართებაში განხილული იქნება თითოეული მხარის -საქართველოს,კონფლიქტური რეგიონებისა და რუსეთის-ინტერესები და მოლოდინები.

მეოთხე თავი წარმოადგენს თემის ძირითად ნაწილს. ამ უკანასკნელში განხილულია ის ალტერნატივები,რომელიც არსებობს საკითხის გადასაწყვეტად. მულტიფაქტორულ ანალიზზე დაყრდნობით ხდება მათი შეფასება და შედარება.

მეხუთე თავი არის დასკვნითი ნაწილი, სადაც კიდევ ერთხელ მეორდება თემის ძირითადი აზრი და მისი მნიშვნელობა.აქვე არის მცირედი რეკომენდაციები ქართული მხარისთვის თუ რა უნდა გაკეთდეს კონფლიქტურ რეგიონებთან ეკონომიკურ ურთიერთობის აღსადგენად.